

# შპს ორიენტირი

## სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში (ერთწლიანი 2017-2018)

2018 წლის 18 იანვარს შპს „ორიენტირი“ გაიმართა შეხვედრა კოლეჯის დირექტორის, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და მასწავლებელთა მონაწილეობით. შეხვედრაზე განიხილეს 2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობებისა და აქტივობების შესრულების საკითხი, რომელიც თანამშრომელთა ჩართულობით მოხდა. ამავე შეხვედრაზე შედგა ახალი, 2018 წწ. სამოქმედო გეგმის ძირითადი ორიენტირების გაცნობა ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.

კოლეჯის დირექტორმა, **რამაზ მაჭარაშვილმა** სხდომაზე წარმოადგინა ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ:

1. 2017 წლის ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით პროფესიულ სტუდენტთა მოზიდვის მიზნით, კოლეჯმა აწარმოა სარეკლამო კამპანია, დაიბეჭდა ბუკლეტები, პროფორიენტაციის ფარგლებში კოლეჯს სტუმრობდნენ სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები, სარეკლამო ინფორმაცია განთავსებული იყო ვებ-გვერდზე. (რაც დასტურდება დაბეჭდილი ბუკლეტებით, ვებ - გვერდის ინფორმაციით და ფოტომასალით) რაც დაეხმარა კოლეჯს სტუდენტთა მოზიდვაში, თუმცა შედეგი საუკეთესო არ იყოფილა. აქვე გამოითქვა მოსაზრება, რომ უკეთესი შედეგის მისაღწევად და კონტინგენტის გაზრდის მიზნით საჭიროა ახალი მიმართულების დასახვა, კერძოდ ახალი მიმართულების პროგრამების დამატება.
2. 2017 წელს დაგეგმილი იყო ახალი მოდულური პროგრამების დამატება, რისთვისაც ადაპტირდა პროგრამები, თუმცა ისინი ვერ განხორციელდა, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოსალოდნელი ოპტიმიზაციის გამო. სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იყო ასევე, ახალი პროგრამების დამხმარე ჩანაწერებით განსაზღვრული გარემოს მახასიათებლები, ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ მოხდა სასურველი პროგრამებისთვის მატერიალური რესურსის შექმნაც და გეგმით განსაზღვრული ეს პუნქტი ვერ შესრულდა ამ ობიექტური მიზეზის გამო, მაგრამ 2018 წელს კოლეჯის ადმინისტრაცია აქტიურად იმუშავებს, ახალი მოდულური პროგრამების დამატებისთვის და შედეგის მიღწევის უზრუნველსაყოფად.
3. მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯს არ დაუმატებია ახალი პროგრამები და სასწავლო ინვენტარის შექმნის საჭიროება არ დადგინდა, მოხდა არსებული ინვენტარის ვარგისიანობის შეფასება და დადგინდა რომ კოლეჯის ინვენტარი განახლებას და

შეცვლას არ საჭიროებს ( რაც დასტურდება ინვენტარის ვიზუალური დათვალიერებით და ინვენტარიზაციის დოკუმენტაციით)

4. საბიბლიოთეკო ფონდი შეივსო პროგრამების შესაბამისად და განახლების პროცესი განხორციელდა პროფესიული მასწავლებლების ჩართულობით.
5. კოლეჯში, სასწავლო პროცესისგან დამოუკიდებელი აქტივობების გამრავალფეროვნების მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა მონაწილეობით ჩატარდა სხავდასხვა სახის სპორტული შეჯიბრებები(ფრენბურთში, შაშში, ჭადრაკში, ნარდში , ფეხბურთში), ასევე ჩატარდა კულტურული ღონისძიებები: სქველმოქმედი კონცერტი „ლურჯა ცხენების“ მონაწილეობით, საახალწლო საღამო, რომლის მოწყობაშიც აქტურად ჩართულ პროფესიულ სტუდენტებს კოლეჯი სადმინისტრაციამ გადასცა საპატიო სიგელები,ჩატარდა სტუდენტური კონფერენციები, როგორც სპეციალობების მიხედვით, ასევე საერთო კონფერენცია კოლეჯის სტუდენტთა და მასწავლებელთა მონაწილეობით (რაც დასტურდება ფოტო, ვიდეო მასალით და და დოკუმენტური მტკიცებულებით);
6. 2017 წელს კოლეჯს სპეციალური საგანამანთლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტები არ ჰყოლია და შესაბამისად, დამატებითი ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესების საჭიროება არ დამდგარა.
7. 2017 წელს, დაწესებულებაში მიმდინარე მოვლენების დინამიურობა ასახულია ვებ-გვერდზე,ინფორმაცია ცვალებადი და მუდმივად განახლებადი იყო, საიტს დაემატა დასაქმებულ კურსდამთავრებულთა და ონლაინ რეგისტრაციის აპლიკაციები.(რაც დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით და ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციით );
8. დამსაქმებლებთან და პრაქტიკის განხორციელების ობიექტებთან თანამშრომლობის ფორმატის გაფართოების მიზნით, გადახალისდა ურთიერთობები, დამატებით გაფორმდა ხელშეკრულებები სხვადასხვა დაწესებულებებთან ( რაც დასტურდება გაფორმებული ხელშეკრულებებით);
9. კოლეჯის პროფესიული მასწავლებლები ესწრებოდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს პროფესიულ მასწავლებლებთან; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრმა სკვა-ს ორგანიზებით ჩაატარა ტრენინგი ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში მოდულური პროგრამების დანერგვასთან დაკავშირებით.
10. კოლეჯის მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს ამერიკის აიოვას უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგში, რომელიც მეორე ეტაპზე დასრულდება ტესტირებით და შედეგად მსმენელებზე გაიცემა სერტიფიკატები.

განათლების ხარისხის განვითარების სისტემის სრულყოფის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა ეკატერინე გიგაშვილმა დამსწრეთ წარუდგინა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მიერ გაწეული საქმიანობის, სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა

და აქტივობების, მოდულური პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია:

1. სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ შეხვედრებზე და სხვადასხვა ღონისძიებებში უშუალო მონაწილეობა და ამ შეხვედრების ამსახველი შინაარსი;
2. სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევებში მონაწილეობა, კერძოდ:
  - კმაყოფილების კვლევა მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ქვეპროგრამასთან დაკავშირებით;
  - პროფესიულის აგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების კვლევა;
  - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის;
3. სამსახურის წარმომადგენლების პერმანენტული დასწრება საგაკვეთილო პროცესზე, მონიტორინგი და პროცესის ანალიზი, უკუკავშირით;
4. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვისთვის ელექტრონული კითხვარების შემუშავება, მათი გამოყენება გამოკითხვის მიზნით და შედეგების ანალიზი ;
5. მოდულური სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული მოდულების სწავლის შედეგების დემონსტრირებისთვის შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესის მუდმივი განხორციელება;
6. პროფესიული სტუდენტის აღდგენასთან და მობილობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მომზადება და მათი სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა;
7. პროფესიული სტუდენტებისთვის ქართული ენის მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების აღიარების პროცედურის შესრულება;
8. გარე მხარდაჭერის ექსპერტთან თანამშრომლობა, შეხვედრების ორგანიზება, უკუკავშირის მიღება და რეკომენდაციების გაზიარება.
9. ოპტიმიზირებული მოდულური პროგრამების განხორციელებისთვის სიახლეების განხორციელება, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით;
10. შეივსო და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გაეგზავნა ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში.

კოლეჯის სასწავლო პროცესის ხელმძღვანელმა მათა ჯებაშვილმა სხდომაზე წარადგინა სასწავლო პროცესთან, პროფესიულ სტუდენტთა კვალიფიკაციის მინიჭების, მობილობის, აღიარების პროცედურებთან დაკავშირებული მაჩვენებლები და დოკუმენტაცია.